4
F550 ~ 7995

საშუალო, დიდი ძუძუი, არ გაიცვლების ხვაზედა...

# ჩიტი

1993
ხუთშაბათი
5
აგვისტო
№31 (10622)
ფასი 10 კუპონი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ–პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## არ უნდა შევცდეთ

სახელმწიფოს მეთაური ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამბობს ასეთ ფრაზას: ჩვენ მზაკვრულად ჩაგვითრიეს აფხაზურ კონფლიქტში. თუ დიდი პოლიტიკოსის იმიჯით თავი მოგვაქვს მთელ დუნიაზე, ამდაგვარი მოსალოდნელი საშინელებანი უნდა წინასწარ გვეგრძნო და აგვეცდინა თავიდან.

მე არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც პანიკას ეძლევიან და ყველაფერს დამთავრებულად თვლიან. მაგრამ მტანჯავს შინაგანი უკმარობის განცდა. რატომ მივიყვანეთ საქმე ასეთ უმძიმეს მდგომარეობამდე. როგორ მოხდა, რომ ასეთი თავზარდამცემი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. ეს ხომ პოლიტიკური კაპიტულაციაა, რომლის საბედისწერო შედეგებს ხვალ და ზეგ უფრო მწარედ ვიგრძნობთ. მავანნი გვარწმუნებენ: ეს დროებითი უკან დახევაა, აუცილებლობით გამოწვეული კომპრომისული ნაბიჯია, რასაც საქართველოს ტერიტორიული, თუ პოლიტიკური მთლიანობის დარღვევასთან არ უნდა ვაკავშირებდეთო. მაგრამ ფაქტიური რეალობა სულ სხვა რამეზე მეტყველებს. რა ხეირი მოგვიტანა დემილიტარიზაციის ზონის შექმნამ და სამშვიდობო ძალების შეყვანამ სამაჩაბლოში, რომ აფხაზეთში მოვიგოთ რაიმე. ღმერთმა ქნას, ურწმუნო თომად გამოვჩნდე მავანთა თვალში და ვცდებოდე.

და მაინც მჯერა: ამ კრიზისულ მომენტში მაინც იტყვის თავის სიტყვას ქართული პოლიტიკური გონი. ქართველი ხალხი ერთხელ კიდევ ბრძნულად გააანალიზებს შექმნილ ვითარებას და მიაგნებს ხსნის ერთადერთ, ჭეშმარიტ გზას.

ა. არნანია.

## ავიცდინოთ ეკოლოგიური საფრთხე

## ხელ-ფეხი რამ შეგვიგოროკა?

**არ მეგულება ისეთი კაცი, საკუთარი ქალაქის გულშემატკივარი რომ არ იყოს. მართალია, ბოლო პერიოდის მღელვარე მოვლენებმა ბევრს გვატკინა გული. ხანდისხან ისეთ გუნებაზეც დადგები, რომ არც გინდა ქალაქში გამოხვიდე, იავარქმნილ ნაგებობებს უცქირო. მაგრამ ეს წამიერი განცდა თანდათან ქრება და ისევ მოგენატრება საყვარელ ხეივანში გასეირნება, სულიერად და ფიზიკურად ნაგვემი შემოგარენისთვის თვალის შევლება.**

**დიახ. ზუგდიდი ყოველი ჩვენგანისათვის მარად თანმდევი ტკივილი და სიხარულია. ამიტომაც საოცრად გაღიზიანებს კაცს მავანთა გულგრილი დამოკიდებულება მისი პრობლემებისადმი.**

**ყოველდღე დავდივართ მშობლიურ ქუჩებში. დაგვილ—დასუფთავებული ადგილების ნახვა სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ ცუდ ხასიათზე ვდგებით, როცა წაქცეულ და დარბეულ სკამს, მოგლეჯილ ელექტრობოძს, ჩამსხვრეულ ლამპიონებს, ჩანაგვიანებულ, აშმორებულ თხრილს წააწყდები.**

**ამ საკითხებს კომუნალურმა განყოფილებამ მიხედოსო, —იტყვის ზოგიერთი ჩვენგანი. ვაი, ჩვენი ცოდვა და ბრალი, ასეთნაირად მაფიქრალნი კიდევ რომ გვყვანან. განა გაწვდებიან დღევ ანდელ უმძიმეს პირობებში 300-მდე ქუჩის მომსახურებას აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლები, თუ მხარში არ ამოვუდექით საწარმო—დაწესებულებები ქუჩის კომიტეტები, თითოეული ჩვენგანი?**

**გაოცებას იწვევს ზოგიერთი ქუჩის მცხოვრებთა გულგრილობა. ირგვლივ სიმწვანის ნასახს ვერ იპოვი, ქუჩაზე მშენებლობის ნარჩენები, ქვაღორღი, ქაღალდის ნაგლეჯები ყრია,, გარშემო ღორები დაშლიგინებენ, სუფევს მოუთმენელი ანტისანიტარია. და წყენისაგან აღელვებულმა გინდა შესძახო: როგორ ეგუებით ყოველივე ამას, ადამიანებო! რამ შეგიბორკათ ხელფეხი. ნუთუ ასე ძნელია საკუთარი სახლის წინ წესრიგში მოიყვანოთ ტერიტორია, ამოწმინდოთ თხრილები, მოაწყოთ საჯდომები, დარგოთ ხეები. ამით ხომ ენით უთქმელ სიკეთეს გავაკეთებთ.**

**მივხედოთ ჩვენს საერთო სახლს ზუგდიდელებო. ვაქციოთ იგი ეკოლოგიურად სტაბილურ ქალაქად. გავაკეთოთ ეს დროულად, დაუყოვნებლივ, მანამ, სანამ თავში საცემად არ გავიხდით საქმეს.**

**დ. გეგელია.**

## გაიწმინდეთ ფიქრი თქვენი

ბუნებრივია, დღეს ყველა საღად მოაზროვნე ქართველს აწუხებს მამულის ბედი. იგი ფიქრობს, აანალიზებს, აკეთებს სამომავლო ვარაუდებს იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებით წარიმართება ეროვნული მოძრაობა. საერთოდ, რა ბედი ეწევა მას. ჭეშმარიტი მამულიშვილნი გონით და შინაგანი გულისხმევით თანაუგრძნობენ ამ სახალხო მოძრაობას, ყველა იმ გონივრულ პოლიტიკურ სვლებს, რომელნიც მოხმობილია კრიზისიდან ერის გამოსაყვანად.

ამ მხრივ ყურადღება მიიქცია გაზეთ „იბერია—სპექტრის“ №62-ში გამოქვეყნებული დოკენტ გ. სულუაშვილის სტატიამ სათაურით „მიტმასნილები“. იგი აღნიშნავს: „დღეს ეროვნულ—განმათავისუფლებელ მოძრაობას ერთგვარი თვითგანწმენდის ეტაპი უდგას. მისი ჯანსაღი სხეულიდან უხვად ცვივა ტკიპასავით მიტმასნილი ყოველგვარი ჯურის მეღროვე...

რაც მეტი ე. წ. მიტმასნილი დასტოვებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯანსაღ სხეულს, მით უფრო ნამდვილი სახით წარმოჩინდება იგი“.

შინაგანად ვიზიარებ ავტორისეულ პოზიციას. ახლა მთავარი ,ის კი არ არის, ვინ რომელ პარტიას წარმოადგენს, არამედ ვის ძალუძს ეროვნული ინტერესების საკეთილდღეოდ მოქმედება. ასეთი პიროვნებები ყველა ფენაშია. და ღრმად ვარ დარწმუნებული, რა დღეს, რა ხვალ ისინი ერთ მძლავრ მუშტად შეიკვრებიან შინაური თუ გარეული მტრების ასალაგმავად.

**ლ. შენგელია.**

ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან

## რა აღელვებთ, რაზე გვწერენ?

### ზრომა წამოგვაყენებს

**გაგებას იმას შევთხოვ, თავისი წყალობა არ მოაკლოს ჩვენს მამულს. ქვეყანას, რომელმაც ბრძოლებით, ტკივილებით, შფოთვით გამოიარა საუკუნენი და მოვიდა დღემდე, ახლაც უზომოდ დაძაბული ქამი გვიდგას.**

**მე ვისურვებდი, რომ ყოველ ჩვენგანს ღრმად გაეთავისებინოს საკუთარი ერის ვინაობა და ამჟამინდელი სიტუაციის სიმძაფრე. მარტო ემოციების დონეზეც ნუ დავრჩებით. ქვეყნის შიდა კოლიზიებს პერსპექტივაში უნდა და ნახვა და გააზრება. უმთავრეს საკითხად მაინც ერთიანობის მიღწევა და მუხლჩაუხრელი შრომა მიმაჩნია, მხოლოდ ეს წამოაყენებს ფეხზე სულიერად და ეკონომიურად დასუსტებულ, მაგრამ გაუტეხელ სამშობლოს.**

**ვ. სამუშია**

### მე მჯერა მათი

**ახლა, როცა ათეულ წლობით დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევის დრო დგას, სხვაზე მეტი მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს პედაგოგებს. ეს მათ უნდა დააყენონ ფეხზე ჭეშმარიტად ეროვნული სკოლა, აღუზარდონ საქართველოს ღირსეული შვილები. სწორედ ამ ადამიანებმა უნდა გააღვიძონ და განავითარონ მოზარდებში ქართული ცნობიერება, წმიდათაწმიდა ეროვნული ღირებულებანი.**

**ნ. შონია.**

### საქართველო გადარჩება

მრავლისმეტყველია თვით სახელწოდება ჩვენი სამშობლოსი—„საქართველო“. მის ძლიერებას და სილამაზეს ისეთი უმშვენიერესი კუთხეები ქმნიან, როგორიცაა ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია; ფშავ—ხევსურეთი, სამეგრელო, რაჭა და ა. შ. ვერავინ ვერ დამძრახავს იმაში, რომ მე მაინც გამორჩეულად ჩემი სამეგრელო მიყვარდეს. მეამყება მისი ლამაზი წარსული. კოლხეთი ხომ ის საოცარი ქვეყანა იყო, რომელსაც ვერც ირანულმა მაზდეანობამ, ვერც მაღალკულტურულმა ბიზანტიამ და ოტომანთა იმპერიულმა ამბიციებმა ვერ მოუშალა საკუთარი პოლიტიკური, თუ სულიერი თვითმყოფადობა. ეს ის ქვეყანა იყო, რომელმაც აუხსნა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ბევრი იომა და იღვაწა ერთიანი ქართული კულტურის გადასარჩენად.

„ოქროს საწმისის“ ლეგენდის, „ოდიასა“ და „ჩელას“ მომნუსხველი ჰანგების შემქმნელ ხალხს წარმოუდგენელია უკეთესი მერმისისაკენ სავალი გზა ჩაეხერგოს. ოღონდ ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენს შემართებაზე.

**ზ. გაგუნია.**

### ისევ უნდა იმრავლონ აკვნებმა

**საუკუნეების მანძილზე ვინ არ ურტყამდა ეროს ჩვენი ეროვნული თვითშეგნების შენობას, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. და ალბათ იმიტომ, რომ დუღაბად ამ შენობისა გვევლინებოდა ქართული ოჯახი, ძირძველი ინსტიტუტი ჩვენი მეობისა. ახლა კი რა ხდება. ქორწილი სანატრელი გაგვიხდა. ახალგაზრდები შექმნილ ეკონომიკურ სიძნელეებს იმიზეზებენ და თავს არიდებენ დაოჯახებას. არა მგონია მისაღები იყოს ასეთი პოზიცია. მართალია. მატერიალური სიდუხჭირე დიდი ვერაფერი სტიმულია დაქორწინებისათვის, მაგრამ ოჯახის მნიშვნელობა და ფუნქცია ჩვენი ერის მომავლისათვის [განუზომელია] და ამას საათანადოდ უნდა ვიცნობიერებდეთ.**

**ახალგაზრდებო, ნუ შეუშინდებით სიძნელეებს. იყავით მხნედ, ყოჩაღად. დროზე მოკიდეთ ხელი ოჯახს, თვალმახარა ბიჭები და გოგონები შემატეთ მამულს.**

**ბ. შენგელია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწორედ ჰეშმარიტ ლირებულებებზე

# გვევალება და უნდა შევძლოთ

ამასწინათ გაზეთ „შანსში“ ყოფილი პარტოკრატი სოლიკო ხაბეიშვილი ირონიულად ახსენებდა ბატონ ლოთი ქობალიას ეროვნული სამოსელისადმი მიმართებაში. ამ ფაქტმა გამახსენა შავჩოხიანთა საძმო 20—იანი წლების თბილისში, როცა გამსახურდიამ, კოტეტიშვილმა, ინგოროყვამ და აბაშელმა ჩოხა—ახალუხის ჩაცმით გამოხატეს თავიანთი პროტესტი ეგრეთწოდებული „წითელი ინტერნაციონალისტების“ მიმართ,

აქ საქმე ტანსაცმლის გაფეტიშებას როდი ეხება.

ჩვენი ერის სახელოვანი შვილები ამ ჟესტით აქცენტს აკეთებდნენ ჩოხაზე, როგორც სიმბოლოზე, როგორც ეროვნული სულის გარეგნულ ატრიბუტიკაზე. დასანანია, რომ ხაბეიშვილს არ ესმის ეს.

დღესაც საშურია ამ პრობლემის სწორად გააზრება. სწორედ ეროვნული მოძრაობა უნდა გახდეს ის ძალა, რომელიც იზრუნებს ადამიანებში ქართული სულის აღორძინებაზე.

ყოველი ჩვენგანი მეტნაკლებად დაგვამახინჯა დრომ, სისტემამ. ჩვენ დავემსგავსეთ, გიორგი გურჯიევისა არ იყოს, აბრეშუმის ჭიას, რომელმაც მოქსოვა თავის გარშემო პარკი და შიგ ჩაიკეტა. ახლა საჭიროა, ამ საშინელი მდგომარეობიდან გამოვიდეს იგი, გაარღვიოს პარკი და მიიღოს მეორე სიცოცხლე, პეპელას თავისუფლება.

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“—ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“.

დიდ ვაუას აქვს ერთი ლექსი: „კლდე და მდინარე“. აქ ორივეს თავისი ფუნქცია აქვს. მაგრამ დგება ჟამი მათი დაჯახებისა. მდინარე ეუბნება კლდეს: გამიშვი, მოვრწყავ ამ ტყე—ველებსო. კლდე უარზეა. იცინის. გაზაფხულზე ზვავის წყალობით გაძლიერებული მდინარე კლდეს მიუხტა, გაანგრია, ველ—მინდვრები მორწყა, აყვავა იქაურობა. ვაუა მდინარეს თანაუგრძნობს, სიკეთის პოზიციად სახავს მის თავდასხმას კლდეზე...

კრიტერიუმად აქ ის თვალსაზრისი გამოდის, რომელიც სამყაროს განვითარების ზოგად ბუნებით წესს განასახიერებს. ეს კანონზომიერება მრავალფეროვნებაა. ამიტომაც გვესახება ლელა.

ამ ჰეშმარიტებისათვის თვალის გასწორება.

ჩვენი აზრით, ეროვნული მოძრაობა თავის საქმიანობას არ უნდა ამოწურავდეს მხოლოდ კულტურტრეგერული ძალისხმევით. მან მეურვეობა უნდა გაუწიოს რაიმე კონკრეტულ საქმეს, რომელშიაც განსხეულდება თვით ნაციონალური სული, იდეა, მამაპაპური ცხოვრების წესი, ზნე—ჩვეულება, ტრადიცია..,

იქნებ კონსტრუქციული მარცვალი იდოს წინადადებაში, რომელსაც შევთავაზებდი ეროვნული მოძრაობის მესვეურთ:

გაზაფხულზე და შემოდგომაზე წესად ვაქციოთ სახალხო —სადღესასწაულო რიტუალის ჩატარება ზუგდიდის ცენტრში, პერიფერიებშიც, რომელიც თავისი ფორმით და შინაარსით იქნება აღდგენა წინაპართა მიერ დამკვიდრებული დღეობებისა. ამით, ჯერ ერთი საქართველოს სხვა კუთხეები უფრო აქტიურობენ. მაგალითად, ფშავ—ხევსურეთში ახლაც ატარებენ ტრადიციულ დღეობებს: გიორგობას, მარიამობას, ამაღლებას, ჭირნახულის სამხვეწროს და ა. შ. თითქმის ყველა თემში მოქმედებენ სალოცავები. ჩვენში კი ადამიანთა სულიერი და ესთეტიკური შთაგონების ეს სფერო თითქმის და დუმებულია. წინასწარ ვგრძნობთ, მავანი შემოგვედავება: ამ გაჯახირებულ ყოფაში დღესასწაულებისთვის როგორ მოვიცალოთო. მაგრამ ვერ დავეთანხმებით ამგვარ მოსაზრებას. დიახაც უნდა მოვიცალოთ და შევძლოთ.

ჩვენმა ხალხმა ღრმად უნდა გაიცნობიეროს თავისი ისტორიული ვინაობა. უნდა დავიყვანოთ ადამიანებამდე ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში აღზევებული ქართული მოდგმა ლაზარესავით კვლავ აღდგება და მოევლინება კაცობრიობას, როგორც სულიერი მსაჯული, ცოდვათა მამხილებელი. დიახ, ეს რთული და მტანჯველი პროცესი იქნება და უცილობლად განვახორციელებთ, ოღონდ ამისათვის ერთიანობა, შინაგანი სულიერი ძალმოსილებაა საჭირო.

ჩვენ უნდა გავაგებინოთ ჩვენს მოძმეებს, რომ ჭყონდიდელურ აღმაშენებლური ცნობიერება სათავეს იღებს უძველესი პროტო—ქართული მოდგმიდან, რომ ელმაც უდიდესი ისტორიული მისია შეასრულა ქრისტიანული მსოფლმხედველობის განვითარებაში. ეს ცნობიერება მოდის მსოფლიო ეკლესიის უდიდესი ბურჯების, წარმომავლობით ქართველების —ლაზების: ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე ლაზის, პეტრე იბერის და სხვათა ეზოტერული სიბრძნიდან.

ჩვენ უნდა გავითავისოთ ის ჰეშმარიტება, რომ კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე,—ეს არის სიმბოლო—სახე იბერიულ—კავკასიური კულტურისა, თავის დროზე ექსპანსირებული უფრო დაბალ დონეზე მდგარი ინდოევროპული ცივილიზაციის მიერ.

უნდა ვიწამოთ, რომ უცილოდ მოხდება კავკასიური ცივილიზაციის რენესანსი.

ა. ალანია.

# ქართველი ქალის ფენომენი

ქართველი ქალი მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო თავისი მომხიბვლელობით, ჭკუა—გონებითა და, რაც მთავარია, ერთგულებით. ვინ და რა ჯურის კაცმა არ აქო ქართველი მანდილოსნის მეოჯახეობა და მეუღლეობა, მისი სიკეკლუცე და სინაზე...

საქართველოს ისტორია გვარიანად ვინც იცის, იგი დამეთანხმება ზემოთ თქმულში. მე კი მეტსაც ვიტყოდი. თუმცა ამისთვის იმ ავბედითი—დღეების გახსენება მომიწევს ამ ისედაც აფორიაქებულ და აწეწილ დროში. ათასი ჯურის მტერი ახსოვს საქართველოს: რომაელებიდან დაწყებული—დამთავრებული რუსებამდე მოდიოდა მტერი და ანადგურებდა ყველაფერს: სოფლებს. ქალაქებს, ციხე—ტაძრებს.. მოსახლეობას ულეტდნენ და ცეცხლში წვავდნენ, ხოლო ქართველი ქალების ერთ ნაწილს მიერეკებოდნენ უცხოეთში. ათასობით ქართველი ლამაზმანის უმანკოება ეწირებოდა შაჰების, ხალიფებისა თუ სულთნების ბინძურ სურვილს. საბოლოოდ იმდენად გათავხედდა სრულიად საქართველოს მტერი, რომ რუმის სულთანმა რუქნად—დინმა ჩვენს საჰელოვან მეფეთ მეფეს თამარს შეურაცხმყოფელი და თავხედური მუქარით სავსე წერილიც გამოუგზავნა. ეს თავხედობა ძვირად დაუჯდა მტერს. 1202 წელს ბასიანს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქთა მრავალრიცხოვან ლაშქარზე და თამარ მეფის შეურაცხმყოფელს შავი დღე გაუთენეს...

ქეთევან დედოფალი ქართველი ქალის ეტალონად შეიძლება წარმოგვიდგეს. ქეთევან დედოფალშია ერთდროულად თავმოყრილი ყველაფერი ის, რაც ოდითგანვე ახასიათებდა ქართველი ქალის ფენომენს: სილამაზე, სიმამაცე, გაუტეხელობა, ნებისყოფა და სამშობლოს უზომო სიყვარული. მტერმა ვერ დაიმონა ქართველი მანდილოსნის სული. მიუხედავად საშინელი წამებისა და სასტიკი მუქარისა, მან განუხრელად დაიცვა თავისი ეროვნული სარწმუნოება. დედოფლის გაუტეხელობამ და თავდადებამ ქართველობაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა...

ასე ვაი—ვაგლახით მოაღწია ქართველმა ქალმა დღემდე; მოაღწია შეურაცხყოფილმა და ათასგზის იმედგაცრუებულმა, მაგრამ გმირულად მოაღწია მაინც,

და რაოდენ გულსატკენია, რომ დღეს მავანნი და მავანნი ქართველ მანდილოსანთა გარკვეულ ნაწილს, იმათ, ვინც ვერ შეურიგდა დეკემბერ—იანვრის ტრაგედიასა და უსამართლობას, ვინც ერთიანი საქართველოსათვის იღვწის და ლოცულობს, უდიერად მოიხსენიებენ. ქალები მაინც დავინდოთ, ბატონებო!

ლელა ნინუა.

# შეპასუხება

## („ლიტერატურული საქართველოს“ 28 მაისის ნომრის ზოგიერთ ავტორს)

პირდაპირ გასაოცარია: საიდან ამდენი სიყალბე, სიცრუე და სიბინძურე, დღევანდელი ოფიციალური „ყვითელ—წითელი“ პრესის ფურცლებიდან თუ სატელევიზიო გადაცემებიდან უწყვეტ ნაკადად რომ მოედინება?!

განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენს საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი, რომელიც ბატონი აკადემიკოსის ბოჭორიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არც ლიტერატურაა და არც საქართველო“. მაინც საიდან ამდენი შხამი, ბატონებო? საიდან და თურმე „პოლიტიკური თავისუფლება ნიშნავს დემოკრატიას, რომლებიც გამორიცხავენ მასების ბატონობას, რაც ახლო კავშირშია ტირანიასთან, ამიტომ უპირატესობა ეძლევა არისტოკრატულ ფენას... დემოკრატიის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ეს ელიტა არ გადაიქცეს დიქტატორულ უმცირესობად.., ფორმალური დემოკრატია, ანუ უფლება თავისუფალ, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრაზე სრულიადაც არ არის თავისუფლების გარანტი, თავისუფლების პირობას მხოლოდ თანაცხოვრების ეთნოსი იძლევა“.

აი, საიდან იკვებებიან ჩვენი ელიტა „დემოკრატიის“ წარმომადგენლები, რომლებიც თავის ხალხს, სავარძლებს რომ დაეპატრონონ და ხელისუფლების საყოველთაოდ ხელისუფლების საყოველთაოში იპარპაშონ, რუსულ ტყვიას უშენენ და ხელჯოხებით ამათრახებენ. და კიდევ, თურმე: „საკმარისია ადამიანები ერთად შეიკრიბონ და შექმნან „ბრბო“, რომ აფეთქებას იწყებს კოლექტიური ადამიანის დინამიკა—გამონთავისუფლება, ენერგია, რომელიც ცნობიერების მიღმაა და მას არ ექვემდებარება“.. კიდევ ბოდვა და... „ხდება კოლექტიური არაცნობიერის აფეთქება.. შემდეგ გადაიზრდება ომში, აფეთქების ძალა დაცხრა, მაგრამ ეს ძალა,—თურმე ნუ იტყვით, ახალ ფსიქოლოგიურ თავისებურებაში გადაიზარდა— ბრბო გარდაიქმნა მასად“,—ბრძანებს ვინმე ამირხანაშვილი. მოკლედ, ამირხანაშვილი ცდილობს გაამართლოს დეკემბერ—იანვრის სისხლიანი პუტჩი, დაჰყოს ქართველი ხალხი არისტოკრატებად, ბრბოდ და მასად..

სურთ დააკნინონ და დაამცირონ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოხატულების ისეთი საპროტესტო მეთოდები, როგორიცაა მიტინგები, დემონსტრაციები, მშვიდობიანი მსვლელობები, მასიური გაფიცვები.. ამის მქადაგებელია გაზეთის ამავე ნომერში დაბეჭდილი რედაქტორის ჩვეული პასკვილი „წავუქოქინოთ ბიჭებო, წავუქოქინოთ?,“ რომელიც იმპერიული ძალების წინააღმდეგ ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლის დაცინვა—ჩაწიხლვაა. მართლაცდა, ქართველი ხალხის „ნაღები“, ბნელი ძალები ერთ მუშტად არიან შეკრულნი, ერთი კაცის და მთელი ერის სიძულვილით შეპყრობილნი...

სამაჩაბლოს და აფხაზეთის, ალბათ, დაკარგვა არ იკმარეს, შიგნით უკურნებელი კიბო გაჩინეს და ეს ყველაფერი მიზანმიმართულად, მონური ფსიქოზით დაავადებული იმპერიის ლაქია-ვაიქართველების ხელეგბით და გულით ხდება. ამის დასტურია, თუ გნებავთ, ვინმე მინისტრის ჯანო ჯანელიძის წერილი.. საინტერესოა, აფხაზეთის რომელ რეგიონს აკონტროლებს ნეტა მისი უწყება? გაზეთ „აღდგომას“ ჩემი ქომაგობა არ სჭირდება, მაგრამ მისი თითოეული ნომერი დატაცებაზე რომ იყო და არის აფხაზეთში და სრულიად საქართველოში, უდავოა. ეს ჯანოსაც კარგად მოეხსენება.. რატომ? სიმართლისათვის იბრძვის, ჭეშმარიტებას ღაღადებს და იმიტომ! აღდგომელებს უნიჭოებს უწოდებთ. თქვენი სიტყვები თქვენს პატარა კაცობას აჭეშმარიტებს. საქართველოს კი უშველის დიდი ადამიანები და არა პატარა კაცუნები.

ალიკო თოდუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეპლიკა ოპონენტს

ამასწინათ ტელევიზიით გამოვიდა კიდევ ერთი ტიპიური წარმომადგენელი ეგრეთწოდებული „ელიტისა“. საუბარია საკმაოდ პოპულარულ ხელოვანზე რეზო გაბრიაძეზე, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ შექმნა საოცრად საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივი— ქართული მარიონეტების თეატრი. თავის დროზე აღნიშნული თეატრის მიერ განხორციელებულ სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა წილად. მაყურებელს ხიბლავდა ორიგინალური რეჟისორული ხელწერა, უჩვეულო სტილისტიკა, დიდი მსახიობების —ეროსი მანჯგალაძის, რამაზ ჩხიკვაძის და სხვათა მიერ გაჩმოვანებული თოჯინები.

იმ ხანად რეზო გაბრიაძეს საკმაო რეკლამაც შეუქმნეს. ბევრი სერგეი ობრაზცოვის დონის ხელოვანად სახავდა. გვსიამოვნებდა ქართველებს ჩვენებური ცაცის ესოდენ სოლიდური აღიარება. თანდათან გაბრიაძის საგასტროლო მერიდიანები საოცრად გაიშალა. მისი ნამუშევრები ნახა ევროპის მაყურებელმაც. მაგრამ ჩვენდაგასაოცრად, საზღვარგარეთულმა ვოიაჟებმა პატივცემულ რეზოს შშობლიური საქართველოს შეგრძნება გარკვეულწილად მოუდუნა. უფრო სწორად ძნელია მიიღო ქართული სინამდვილის მისეული ხედვა. რაღა თქმა უნდა, ნებისმიერ პიროვნებას აქვს უფლება საგნებსა და მოვლენებს საკუთარი რაკურსით ჰვრეტდეს, მაგრამ როცა საკითხი ეხება ისეთ უზენაეს ფენომენს, როგორიც მშობლიური ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის, ერის საერთო ცნობიერების პრობლემაა, აქ დილეტანტური თვითშემოქმედების უფლება არავის არა აქვს.

## ეგ რა კომედიის თემაა, დალოცვილო!

არ გეკადრებათ ბატონო რევაზ, ასეთი მენტორული ტონით საკუთარ ხალხთან საუბარი. რატომ ხართ ასე დაჯერებული, რომ საკუთარი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური მოდელი მხოლოდ დასავლური სტანდარტების კვალობაზე უნდა ჩამოყალიბდეს? ევროპისკენ ორიენტაცია იმას ნიშნავს, რომ საკუთარი, ქართული მენტალიტეტი დავივიწყოთ და მონურად ქედი მოვუდრიკოთ ევროპულ ფასეულობებს? სინამდვილის ამ ჭრილით აღქმაში ხომ თავისთავად ილანდება ეროვნული ნიჰილიზმის რეციდივები. თქვენი დონის ხელოვანს დიახაც მოეთხოვება ეროვნული და ზოგადკაცობრიული ღირებულებების ურთიერთმიმართების დელიკატური პრობლემის უფრო კომპეტენტური წვდომა. ყოველმა ჩვენთაგანმა, სპექტაკლს დგამს იგი თუ ავტობუსის მოსაცდელს აგებს, მოვალეა უპირველეს ყოვლისა ქართველად იგრძნოს თავი, მშობლიურ ფესვებს არ მოწყდეს. მის ნახელავში ქართველი კაცის მსოფლმხედველობა თუ არ იკითხება, განზოგადების ძალასა და ელფერს ვერაფრით ვერ შეიძენს.

ვერაფრით ვერ დაგეთანხმებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თქვენეულ შეფასებაში. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს თქვენ ამ წმიდათაწმიდა მოვლენას ლამის პროვინციულ შეზღუდულობად მიიჩნევდეთ. ამ მხრივ გვახსენდება სახელმწიფოს მეთაურის კომენტარი აღნიშნული საკითხისა. მან ეროვნულ მოძრაობას ნაციონალური ყოყლოჩინობაც კი უწოდა.

შეხედულებათა ამდაგვარი იდენტურობა ჩვენთვის გასაგებია. მაგრამ გაუგებარია, რამ გააღვივა თქვენში და თქვენნაირებში ჭეშმარიტი პროვინციალიზმი— ყოველივე უცხოურისადმი გუნდრუკის კმევით საკუთარის, სისხლხორცეულის დაკნინების, მისი ირონიზების ტენდენცია?

ან რას უნდა ნიშნავდეს თქვენი მორიგი შთაგონების ობიექტად საქართველოში მიმდინარე დრამატული მოვლენების დასახვა? თანაც თქვენთვის ჩვეული პაროდიული სტილისტიკით. თურმე მისთვის უანრიც შეგირჩევიათ: ტრაგიკული კომედია. თქვენივე თქმით მას ევროპის მაყურებელს უჩვენებთ.

საწყენად ნუ ჩამოთვლით და ერთ ასეთ რჩევას შეგაკადრეთ, რევაზ ბატონო! სიფრთხილისკენ მოგიწოდებთ. მუზასთან ზედმეტი შეთამამება საშიშია.

ჯ. თელია.

## რანი ვართ, როგორ ვიქცევით?

## უვილლებრ მოგვკითხავენ

უხერხულად ვგრძნობ თავს... ნებსით თუ უნებლიეთ მეც იმ თემაზე მიხდება წერა, რაზეც, სამწუხაროდ, არაერთხელ უმუშავიათ ჩემს უფროს კოლეგებს.

ქალაქის ბოტანიკურ ბაღზე მოგახსენებთ. იქ უბრალო ბალახიც დიდი ზუგდიდელის ლოცვითა და ოფლითაა ნასაზრდოები-ნაპკურები. თვით სარეველაც კი, რადგან მის აღმოცენებაშიც არის რაღაც კანონზომიერი, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს სათქმელს მოკლედ და გულახდილად მოგახსენებთ: ეს სტრიქონები ბოტანიკური ბაღის დირექტორის **უსლარ ლატარიას** სარედაქციო ვიზიტის შემდეგ იწერება. გაწონასწორებული კაცი ჩანს ბატონი უსლარი, მაგრამ გაუჭირდა ტკივილის დამალვა: სანაგვედ აქციესო ბოტანიკური ბაღი, საქონელი შემორეკეს, ხეებს ტოტები დაჰკრეს, მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა თითქმის თითოეულმა მოსახლემ ბაღში შესასვლელ-გამოსასვლელი საკუთარი ჭიშკარი გაიკეთოო. გაიძარცვა კოტეჯი, ადმინისტრაციული შენობა. დაშალეს ორანჟერია, სათბურს ოცდაჩვიდმეტი ფანჯარა გამოაცალეს, ელ გაყვანილობის ბაზები და სატელეფონო კაბელები დაჰკრეს და დახსნეს. თითქმის არაფერი დარჩა არაკაცთა მიერ შეუთვალიერებელი და შეუბღალავი.

ბოტანიკური ბაღის ოცდაექვსჰექტარიან ფართობს ერთი მცველი ჰყავს თურმე. რაა საკვირველია, ერთი კაცი ვერ იქნება სრულყოფილი მეთვალყურე ასეთი სერიოზული სივრცის და ზოგიერთებიც სურვილისამებრ დათარეშობენ.

მალე ზამთარიც მოგვადგება კარს. ვინ იცის, ვინ რომელ ხეს დაადგა თვალი. გაყინული სულისა და ხორცის გასათბობად.

ჩვენი სულმოკლეობისა და ხელმრუდობის შედეგია ბაღის გაჩანგება. დაუნდობლობა და ცხოველური ინსტინქტები გვძლევენ ეტყობა. ეს ჩვენა ყველაფერი, უკაცრავად და, ფეხებზე დავიკიდეთ, თორემ უსლარ ლატარიას პირად არქივში ბლომადაა ინგლისელი თუ გერმანელი ტურისტების მიერ გამოგზავნილი ბარათები, სადაც ვიღაც გადამთიელი, ბაღის უნიკალურობით ერთი ნახვით მოხიბლულ-დატყვევებული მთელი სერიოზულობითა და სიფაქიზით მოიკითხავს: ემანდ რომ ხე იდგა როგორი გახდა, როგორ იზრდებაო, იქ, რომ ბუჩქის ძირში ახლად აღმოცენებული ხვიარა ბალახი იყო, თუ ხარობსო.

რას ვიზამთ, საკუთარის არ შენდობა, არაფრად ჩაგდება პირველი შემთხვევა როდია ჩვენში.

მე ერთი რამ გამკვირვებია: ზუგდიდელთა ნაწილის გან ასე შეწუხებულს, კიდევ რა ბაჯაღლო გული დებია ბატონ უსლარს, რედაქციაში რომ მოგვაკითხა და ისევ „ვაიზუგდიდელთა“ სასარგებლოდ და საყურადღებოდ გვთხოვა: ამ კვირიდან, ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა და ნარგაობათა პროფილაქტიკური შეწამვლა მიმდინარეობს, რაც საშიშია საქონლისთვის და თქვენი ჭირიმე, ხმა მიმაწვდენინეთ იმ მოქალაქეებისათვის, ვისი ძროხებიც ხშირად „სტუმრობენ“ ჩვენთანო.

ბოტანიკურ ბაღზე გულშემატკივარი ზუგდიდელების სახელითკი ჩვენც გვაქვს სათხოვარი, მხოლოდ ეროვნული გვარდიის და პოლიციის ხელმძღვანელობისადმი. გამოყონ დაცვა ბაღის დასაცავად. ნუ გავატიალებთ ერთბაშად ყველაფერს, შვილები მოგვკითხავენ...

ნ. მოსიძე.

## „მითხარით, როგორ ვიცხოვრო?!“

**ეს რეპორტაჟი ჩვენმა კორესპონდენტმა საკოლმეურნეო ბაზრიდან მოგვაწოდა. გულახდილ დიალოგებში ჩვენი ყოველდღიური გასაჭირი იკვეთება:**

ლია ცირამუა: დილიდახვე ფვრბივარ. დავიქანცე ქალი: არ ვიცი რისი ყიდვა გადავწყვიტო ჩემი ერთი თვის ხელფასით. ყველი ვუყიდო ბავშვებს, ხორცი თუ კარაქი?! ტყბილეულობაზე და ნუგბარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ასმათ კანკავა: ბავშვებიო, ვამბობთ და მათთვის ვიზოგავთ ყველაფერს, მაგრამ ჩვენ, უფროსებსაც ხომ გვჭირდება ნორმალური კვება. მომავალ წელს შიმშილობა იქნება, პური საერთოდ გაქრებაო და წელებზე ვიდგამთ ფეხს, ეგების მიწას გამოვსტაცო რამე, მთლად რომ არ გავწყდეთ, მაგრამ სამუშაო ენერგიაც მელევა უკვე.

გია ჩაგინავა: პარლამენტში, მურვანიძემ განაცხადა, რომ ადამიანს ყოველდღიურად 2500 კალორია სჭირდება. ამისთვის კი სულ ცოტა 60 ათასი კუპონის შემოსავალი უნდა გქონდეს თვეში. მერე ვინ გვაძლევს ჩვენ ასეთ მაღალ ხელფასებს? გამოდის, სხვა რომ არაფერი შიშშილი და უქონლობა დაგვაჩანაკებს.

მურმან ცხადაია: კუპონების შემოღება დიდი შეცდომა იყო. თანაც ვამბობთ თავისუფალი საბაზრო სისტემა დავნერგეთ და კონტროლს ფულის ნიშნებით ვაჭრობაზე ვერ დავაწესებთო. არ გაემტყუნება გამყიდველს. სურს კუპონზე გაყიდის, სურს რუსულ ფულზე .ბევრი, ბატონო, დღეს, ვალუტაზე ყიდის საქონელს. ეს მისი ნებაა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ სახელმწიფო სტრუქტურებს მიჯაჭვულმა პატიოსანმა ხალხმა, საიდან ან ერთი ან მეორე, ან თუნდაც მათი „გაფრენილი“ კურსის შესაბამისი კუპონი?... სახელმწიფო თუ ასეთ მარტივ გაანგარიშებას ვერ გაკეთებდა, რატომ აქვთ მავანთ პრეტენზია დიდ პოლიტიკაზე, დიდ ეკონომიკაზე? თუ დღემდე შეცდომა და არ ცოდნა არ ცოდვად ითვლებოდა, წავიდა ის დრო...

გურამ მაკალათია: თანმოყვარეობა მაქვს კაცს შელახული. შიშველ-ტიტველი დამიდის ცოლ-შვილი. ცოლმა ნივთები გაზიდა სახლიდან, გაყიდა, რა ვქნათ ხომ არ ვიშიმშილებთ... ღმერთს ვეხვეწები გაძლების და დათმენის უნარი მომცეს. ოდესმე, ჩემთვის თუ არა, ჩემი შვილებისთვის მაინც ხომ იქნება რამე...

თეონა ფარცვანია: აგერ ნახეთ რა ვიყიდე... ხორცისკენ არც მიმიხედია, არც ყველისკენ და კარაქისკენ. თითო კილო კიტრი, კარტოფილი, ახალი ლობიო, ვაშლი და ერთი თურქული მარგარინი... დავიხარჯე კი ბლომად. გამოსავალს მე რაში უნდა ვეხედავდე. ეს თქვენ უნდა იპოვოთ გზა—გადამრჩენი, თორემ ომში ცალკე ვიხოცებით, შიმშილითაც კვდებიან უკვე, ათასმა უბედურმა შემთხვევამაც ბევრი იმსხვერპლა და რაღა დავრჩებით?..

ლიდა ფირცხელავა (გამყიდველი): სად წავიღო კუპონები?... რა, მაკულატურა შევაგროვო?- საქართველოს იქით ეს არავის უნდა. ეს საქონელი კი მე ნაღდ რუსულ ფულზე შევიძინე. შენ რომ იყო, გაყიდი კუპონზე?

ჩიტო კვემულარია: მართალი გითხრათ, შევარდნაძე რომ ჩამოვიდა, იმედი გამიჩნდა —მშიერი მაინც არ მოგვკლავს —მეთქი. იმდენი ქვეყნის მეთაური დაიხვია ჰუმანიტარული დახმარებების შეპირებებით, მაგრამ... შევცდი: ფუფუნების საგანზე და ჩაცმაზე ვინ ჩივის, ერთი ცალი საპონი ვერ ვიყიდე ქალმა: 1500 კუპონად აფასებენ. მე და ჩემი ქმარი პენსიონერები ვართ... არსებითარი საშუალება სხვა არ გვაქვს. მითხარით, როგორ ვიცხოვროთ, რა ვქნათ?

გურამ ფიჩხაია: ღირსებააყრილი და შეურაცხყოფილი ვარ კაცი. ჭირის ოფლს შასხამს პროდუქტების ფასები. მოდიხარ, ბაზარი სავსეა, რა გინდა სულო და გულო. მაგრამ შენ არაფერზე მიგიწვდება ხელი. ეტყობა, ბუნების კანონია ასეთი— ერთნი ძღებიან, მეორენი კი შიმშილობენ. გაუძლებ ამ ცხოვრებას? შენია ყველაფერი, ვერ გაუძლებ და...

მართა ცანავა: აი.სში ერთხელ თუ შეძოვილი ბაზარში. ფაქტიურად მთელი ოჯახი ვშიმშილობთ. მე და ჩემი მეუღლე კი ვმუშაობთ, მაგრამ... არ ვეყოფნის. ბაზრის ფასები ყოველდღე იზრდება... გისმენდით, მოქალაქეებს რომ ესაუბრებოდით. ხომ ხედავთ, უმრავლესობას უჭირს. თვითონ თქვენ თუ რჩებით ხელფასის აღების შემდეგ ბაზარში შემოსული კმაყოფილი? ალბათ, იყიდით ერთ კილო ყველს და მეორე ხელფასამდე... თავისუფალი ხართ.

ნ. მოსიძე.

ისე, როგორც მთელს საქართველოს, ჩვენს ქალაქსაც უჭირს. უკიდურესად მძიმე ეკონომიკური ვითარება დღითიდღე უფრო ცუდ დღეში გვაგდებს. განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის პურითა და სხვა პირველადი მოთხოვნილების საქონლით მომარაგება-განაწილება, რომელიც

# რომ უფრო არ გავართულოთ მდგომარეობა

მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოსახლეობას. ამას ემატება პროდუქტების განაწილების დროს შექმნილი სირთულეები, როცა ქუჩის კომიტეტებსა და საკრებულოებს ვერ დაუდგენიათ სწორი მონაცემები მოსახლეობის რაოდენობაზე კი მათ მიერ შედგენილ სიებსა და 1989 წლის მოსახლეობის აღწერის საფუძველზე მიღებულ მონაცემებს შორის დიდი სხვაობაა. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის საფუძველზე ბუნებრივი და მექანიკური მატების გათვალისწინებით 1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქ. ზუგდიდის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 52,3 ათას სულს. ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეთა მიერ შედგენილი სიებით კი—68,0 ათას სულზე მეტია. ხოლო საკრებულოებიდან მიღებული მონაცემებით რაიონის მოსახლეობამ შეადგინა 87,3 ათასი სული, ნაცვლად 77,2 ათასი სულისა. დღესდღეობით ჩვენს ქალაქსა და რაიონში პროდუქტები ნაწილდება 1989 წლის მოსახლეობის აღწერის საფუძველზე მიღებული მონაცემებით.

ამ ფაქტთან დაკავშირებით შემოწმებულ იქნა ბორჯომის, კუიბიშევის, პაიჭაძის, მარცხენა სანაპიროს, ლომოურის, პავლოვის და კოსტავას ქუჩების კომიტეტების თავმჯდომარეთა მიერ მოსახლეობის რაოდენობაზე შედგენილი სიების სისწორე და აღმოჩნდა, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ ძველი (1991-1992 წ წ.) სიებით. შერჩევით შემოწმდა რამდენიმე ოჯახის სანაო წიგნში ჩანაწერთა სისწორე და აღმოჩნდა, რომ სიებში ჩართულია ადგილზე არმყოფი მოსახლეობაც.

მოსახლეობის რაოდენობაზე მეტად არასწორი მონაცემები იქნა გამოვლინებული პავლოვის ქუჩის კომიტეტში, სადაც სასურსათო მაღაზიისათვის გადაცემული სია გადიდებული იყო 78 სულით. ქუჩის კომიტეტთა უმრავლესობა სიებს ადგენს საბინაო წიგნებზე დაყრდნობის გარეშე, სახლმფლობელთა სიტყვიერი განაცხადით, რაც ხშირ შემთხვევაში სწორი არ არის. კომიტეტთა უმრავლესობა აგრეთვე სისტემატურად, როგორც კი დასჭირდებათ „ზუგდიდ-3 ჰრობის“ სამმართველოში წარადგენენ დამატებით სიებს შინაგან საქმეთა პოლიციის სამმართველოს სპასპორტო განყოფილების ვიზის გარეშე, რაც უხეში დარღვევაა. დამატებით მოსახლეობის მოსვლა ბუნებრივი მატებით იქნება ეს თუ მექანიკური მატებით, ფიქსირებული უნდა იყოს საბინაო წიგნში და უნდა მოწმდებოდეს სპასპორტო განყოფილების მიერ.

სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე ზოგიერთი საკრებულოს მიერ შედგენილი მონაცემები დიდად განსხვავდება 1989 წლის მოსახლეობის აღწერის საფუძველზე მიღებული მონაცემებისაგან და ამ სხვაობამ შეადგინა მთლიანად 10,0 ათასზე მეტი. სხვაობებია და არასწორ მონაცემებს იძლევიან ანაკლიის, ახალკახათის, დარჩელის, კოკის, ჭითაწყარის, აბასთუმნის, კორცხელის, რიყის, ჩხორიის, ურთის საკრებულოები. საკრებულოებში მოსახლეობის რაოდენობაში არსებული სხვაობა სხვა მიზეზებთან ერთად გამოწვეულია საკომლო წიგნებში არასწორ ჩანაწერთა შედეგად. კერძოდ, ამოსაწერია მოსახლეობის ის კატეგორია, რომლებიც წლობით არ ცხოვრობენ და ფლობენ როგორც მემკვიდრეობით მიღებულ სახლს ნაკვეთის გარეშე, ასევე მიწის ნაკვეთს და არ მოუმართავთ განცხადებით ამოწერისათვის. ბოლო პერიოდში მასიურად ხდება მოსახლეობის ჩაწერა მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით, გამომდინარე აქედან ძნელდება მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ გაიწმინდოს საკომლო წიგნები „მკვდარი სულებისაგან“, რაც საფუძველი იქნება მოსახლეობის რიცხოვნობის სწორი გაანგარიშებისათვის და ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სოფლის მოსახლეობის პურითა და სხვა პროდუქტებით მომარაგების საკითხი.

მოსახლეობის რაოდენობის ფიქტიურად გადიდების შედეგად ზარალდება ქალაქად და სოფლად მცხოვრები ფაქტიური მოსახლეობა და მათ გარკვეული რაოდენობით აკლდებათ პური და სხვა პროდუქტები. ამიტომ ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარეები და საკრებულოები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მოსახლეობის რაოდენობაზე სიების შედგენას და მიაღწიონ იმას, რომ პური იქნება ეს თუ სხვა პროდუქტები გაცემულ იქნას ფაქტიურად სახეზე მყოფ მოსახლეობაზე.

ქუჩის კომიტეტები და სხვა საკრებულოები, რომლებიც არ იზრუნებენ საკომლო და საბინაო წიგნების გაწმენდისათვის, და მოსახლეობის რაოდენობაზე არ შეადგენენ სწორ სიებს, მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას დაიმსახურებენ და ამ მეტად მძიმე პერიოდში მდგომარეობას უფრო მეტად გაართულებენ.

**ზ. გოგბია,**

ზუგდიდის შინაგან საქმეთა პოლიციის სამმართველოს სპასპორტო განყოფილების უფროსი.

**ბ. ზარქუა,**

სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის ზუგდიდის განყოფილების უფროსი.

---

**რეტრო**

# სამი „ბანდიტი“ და გიტარისტი

მაშინ, როგორც ახლა, არავის ემღერებოდა, მაგრამ კაეშანს არ დანებებულნი, მაინც დადიოდნენ სანახაობებზე. ზუგდიდის თეატრი, სწორედ ომის წლებში აშენდა უფრო სწორად „სპორტის სასახლე, გადაკეთდა თეატრად და... მაყურებელი არ აკლდა მას.

ადგილობრივი თუ ჩამოსული ძალებით იდგმებოდა სპექტაკლები. და ასეთ ჟამს მსახიობები გვევლინებოდნენ ერის რაინდებად. როგორც იტყვიან: გიტარას „ჰმუჭნიდა“ მსახიობი დათო ყუფარაძე, რომელმაც ქართულ კინემატოგრაფიაშიც თქვა თავისი სიტყვა. და ერთხელ, როცა დათო სოლო კონცერტის შემდეგ ბრუნდებოდა გიტარით ხელში, კუნაპეტ ღამეში თავს „დაესხა“ სამი „ბანდიტი“.

—გადმოაბრუნეთ ჯიბეები — იყო ბრძანება რუსულ ენაზე.

დათომ შეასრულა ბრძანება, მაგრამ გიტარის ძაფის მეტი ვერა უპოვეს რა. შემდეგი ბრძანება იყო:

—მოგვეცით გიტარა და თქვენ კი შინ წადითო.

იცოცხლე. მაშინ კი წამოენთო დათო და ერთ-ერთი მათგანისაკენ გაიწია... თავშეუკავებელმა ხარხარმა გამოარკვია დათო. წინ პავლუშა ანთელავა, მიტუშა ჭელიძე და კუჭუჭი როგავა ედგნენ.

ბიჭებმა ახლა ქუჩაში სიმღერა „უბრძანეს“ დაღლილმა დათომ მათ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში წასვლა შესთავაზა (რესტორნის ფული აღარ გააჩნდათ). მაშინ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის წიაღში მოქმედებდა ღია ესტრადა, რესტორანი .და ბავშვთა დასვენების პარკი. ტბაზე დაცურავდნენ ცისფერი ნავები...

და აი, ჩვენი ოთხივე გმირი იმ ხაღამოს დაეუფლა ესტრადას. დათო უკრავდა გიტარაზე... მუსიკა იღვრებოდა ირგვლივ. ღაღი და მხრებგაშლილი მღეროდა ქართულ მელოდიებს. „აუდიტორიამ“ თურმე მრავალჯერ გაამეორებინა პეტრე გრუზინსკის სიმღერა: —კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე.

იკრიბებოდნენ ბიჭები სასტუმრო „ოდიშის“ ვესტიბიულის წინ. იკრიბებოდნენ არა ᲐᲚᲐᲮᲖᲐᲜᲓᲠᲝᲓ, ბჭობდნენ ქალაქის ჭირისუფალნი: ბოჩია პეტრიდისი, ჭიჭიკო გვასალია, კუკური კეიდია, ბოჩია კეიდია, ხუტა ხვიტია, თორნიკე შენგელაია, კოტე პაპა[illegible]ანი, მიშა ჩიქოვანი, არჩილ დადიანი, ბიჭიკო გეგელია, დურუ და კოკონა ჩიხლაძეები, გიგა ბუკია და სხვანი. ეს ახალგაზრდები, ნამდვილი ჭირისუფალნი ქალაქისა ღარიბთან მდიდრები და მდიდრებთან ღარიბნი, თვითონ გაიხდიდნენ და სხვას ჩააცმევდნენ. ვერავინ იტყოდა მათზე უკეთესად, ვერავინ იფიქრებდა მათზე უკეთესად.

პავლუშა ანთელავა ისე უხდებოდა ზუგდიდს, როგორც ნიაზ დისამიძე თბილისს. გონებამახვილი, ენაწყლიანი: —ზუგდიდს რომ ფრჩხილი წამოსტკივდეს, სიფლავშიაც ვიგრძნობო, იტყოდა ხოლმე.

პავლუშას პატივს სცემდნენ თბილისშიც. აკი არ დაივიწყეს მათ თავიანთი მეგობარი და გიზო ნიშნიანიძის წიგნში „პაემანი ვერაზე“. ვერელთა ვერნისაჟის ფოტოებთან მიუჩინეს მის სურათს საპატიო ადგილი.

ისინი არ ხვეჭდნენ ფულებს, თუმცა მათ შორის იყვნენ ეკონომისტები, ექიმები, ინჟინრები, მსახიობები...

მათ უღალატო მეგობრობა და კაცური ღირსება ერჩიათ ყველაფერს, თანამემამულენი არ ივიწყებენ ქალაქის ამ კოლორიტებს.

**ბ. აბულაძე.**

---

**ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ**

# გვიმრავლოს!

4—9 აგვისტოს იტალიის ქალაქ ტურინოში ტარდება ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში, სადაც რესპუბლიკის სხვა უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად დამოუკიდებელი დელეგაციის შემადგენლობაშია ზუგდიდელი ჭაბუკი ლაშა ფიფია (მწვრთნელი ე. კვიციანი).

სპორტსმენის, რომელიც ასპარეზობს 70 კგ წონით კატეგორიაში, იტალიაში გასამგზავრებლად სერიოზული თანხა—თითქმის მილიონნახევარი იყო საჭირო. აუცილებლად უნდა მოგვეხერხებინა მისი დაფინანსება, რათა ამ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობა მიეღო (სხვა რაიონები გვეცილებოდნენ მის თავს საქმიანი წინადადებითა და კონტრაქტებით). მადლობა ღმერთს, რომ მიუხედავად ასეთი დუხჭირი ყოფისა, ჩვენს ქალაქში მრავალად არიან გულმოწყალე და კეთილი ნების ადამიანები: აქტიურად გამოგვეხმაურნენ და ჩვენი საწუხარი გულთან მიიტანეს ინდივიდუალური ფირმა „ერასტის“ პრეზიდენტმა ნაპო გაბისონიამ და ცეკავშირის ბაზის დირექტორმა ჯამბულ ახალაიამ, რომლებმაც 500-500 ათასი მანეთი გადმოგვირიცხეს, ასევე ას-ასი ათასი მანეთი გაიღეს სპორტსმენის დასაფინანსებლად ბატონებმა ზურაბ გოგოხიამ და კარლო ქირიამ. გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში.

გვწამს, რომ ლაშაც არ შეირცხვენს თავს შორეულ იტალიაში და გამარჯვებული დაუბრუნდება მშობლიურ ზუგდიდს!

**მურმან ხუფენია,**

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

---

# მადლობა პედაგოგებს

წლევანდელი სასწავლო წელი უმძიმესი იყო სოხუმელი მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის. განსაკუთრებით გაგვიჭირდა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს—მშობლიურ კერა-დანგრეულებს, საკუთარი ქალაქიდან გაძევებულებს, საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად ქცეულებს...

სუნთქვაშეკრული მივჩერებივარ ტელევიზორის ეკრანს და ვხედავ როგორ ნაცარტუტად ქცეულა ჩემთვის ახლობელი და ნაცნობი ულამაზესი კვარტალები. ერთხელ გავიპარე კიდეც იმ განზრახვით, რომ მეც ამელო იარაღი ხელში და ჩავმდგარიყავი ჩემი სოხუმის დამცველთა რიგებში, მაგრამ როგორც არასრულწლოვანს ამისი საშუალება ჯერჯერობით არ მომეცა.

სოხუმიდან წამოსული მოვხვდი ქ. ზუგდიდის №15 საშუალო სკოლის მე-11 კლასში (სკოლის დირექტორი მადონა ჯაბუა, კლასის ხელმძღვანელი ნანი ბელქანია). სასოწარკვეთილს და სულაფორიაქებულს მალამოდ მომეცხო თითოეული პედაგოგის გულისხმიერება, მამხნევებდნენ, მიყვავებდნენ, ყოველ წუთს ვგრძნობდი მათ მზრუნველ ხელს, მათი გულების სითბო თან გამყვება ცხოვრების გზაზე. უღრმესი მადლობა №15 სკოლის პედაგოგებს გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

**პაატა სიჭინავა,**

ლტოლვილი კურსდამთავრებული.

**სარედაქციო კოლეგია**

---


# მოქალაქეთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „ჩელა“ სამუშაოდ იწვევს ფარმაცევტიული განათლების მქონე პირებს.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ფარმაცევტული განათლების დამადასტურებელი საბუთები. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კოოპერატივ „ჩელას“ გამგეობას შემდეგ მისამართზე: რკინიგზის სადგურის აფთიაქი №28.

**კოოპერატივის გამგეობა.**



დაფნის კომბინატი 1993 წლის 22 ივლისიდან მოსახლეობიდან დაფნის ფოთლის შესყიდვას აწარმოებს ნაღდი ანგარიშსწორებით, კილოგრამის ფასი 500 (ხუთასი) კუპონია.

**ზუგდიდის დაფნის კომბინატი.**



ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ. ᲛᲘᲠᲑᲐᲯᲘᲡᲢᲐᲕᲐᲡ Ქ. №56, 2-22-07, ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 700 შეკ. №662.